ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 103

"19" აპრილი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ქუჩა ანნა პოლიტკოვსკაიას №48-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 თებერვლის №19.175.229 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში, I სადარბაზოს მე-5 სართულზე, 36.86 კვ.მ ფართის ბინა №509 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.509) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზებაზე, მოქალაქე თეიმურაზ ჩხეიძისთვის (პ/ნ 01005008980) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**